საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2018 წლის ივნისი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა 2018 წლის ივნისის თვეში.

საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის" შესახებ

2018 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის" შესახებ, რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრავს სოციალური მუშაობის ძირითად პრინციპებს, სოციალური მუშაკის სამართლებრივ სტატუსს, სოციალურ გარანტიებს, ფუნქციებს, უფლებებსა და მოვალეობებს, სოციალური მუშაკის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნული კანონის დებულებები ვრცელდება როგორც საჯარო დაწესებულებასა და კერძო სამართლის იურიდიულ პირში დასაქმებულ, აგრეთვე თვითდასაქმებულ, პრაქტიკული საქმიანობის განმახორციელებელ სოციალურ მუშაკებზე და მათ პროფესიულ ზედამხედველებზე, გარდა ამ კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

კანონი გარდა მისი პირველი-43-ე მუხლებისა, 44-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 45-ე–63-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2018 წლის 13 ივნისს, გამოქვეყნებისთანავე. ამ კანონის პირველი–43-ე მუხლები, 44-ე მუხლის პირველი პუნქტი, 45-ე და 46-ე მუხლები, 47-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტები და 48-ე–63-ე მუხლები ამოქმედდება 2021 წლის 1 იანვრიდან; 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი-2025 წლის 1 იანვრიდან; 44-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები-2021 წლის 1 იანვრამდე; ხოლო 64-ე მუხლის მე-10 პუნქტი -2023 წლის 1 იანვრამდე.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@ legalconsulting.ge

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

2018 წლის 13 ივნისის საქართველოს პარლამენტის დადგენილება N 2527-IIს-თ რატიფიცირებულ იქნა „ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)“ შეთანხმების ცვლილების ოქმი“. შეგახსენებთ, რომ შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1994 წლის 15 აპრილს, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა და შესაბამისად ძალაში შევიდა 2000 წლის 14 ივნისს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N227

2018 წლის 12 ივნისს საქართველოს ფინანსთა მინისტრის N 227 ბრძანებით დამტკიცდა „დიზაინზე, პატენტზე, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე ან/და სელექციონერის განსაკუთრებული უფლებების სავარაუდო დარღვევით წარმოებული საქონლის შეჩერების ვადის გასვლამდე გასაშვებად გარანტიის წარდგენის წესი“, რომლითაც განისაზღვრა, რომ თუ დიზაინზე, პატენტზე, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგიაზე ან/და სელექციონერის განსაკუთრებული უფლებების (შემდგომში – ინტელექტუალური საკუთრების უფლების) სავარაუდო დარღვევით წარმოებულ შეჩერებულ საქონელთან დაკავშირებით სასამართლოში საქმის წარმოება მიმდინარეობს და საქონლის მფლობელი მოითხოვს საქონლის შეჩერების ვადის გასვლამდე მის გაშვებას, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახური (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) უფლებამოსილია გაუშვას ეს საქონელი, თუ დასრულებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა პროცედურა და საქონლის მფლობელი წარადგენს ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ გარანტიას.

ბრძანება ამოქმედდა 2018 წლის 12 ივნისს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №326

2018 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილება №326-ით დამტკიცდა „საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან საქართველოს იურიდიული პირების ან მათი გაერთიანების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევისათვის თანხების ანაზღაურების წესი“. იგივე ბრძანებით ძალადაკარგულად

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

გამოცხადდა „საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან საქართველოს იურიდიული პირების ან მათი გაერთიანების მიერ კრედიტორი ქვეყნისათვის საგარეო ვალის მომსახურებისა და დაფარვის ანგარიშში პროდუქციის რეალიზაციისა და მომსახურების გაწევისათვის თანხების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ივლისის №325 დადგენილება.

დადგენილება ამოქმედდა 2018 წლის 11 ივნისს, გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №317

2018 წლის 5 ივნისს საქართველოს მთავრობის დადგენილება №317-ით დამტკიცდა „მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“, რომელიც მიზნად ისახავს სურსათთან უშუალოდ ან არაპირდაპირი შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების შიდა ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 სექტემბრიდან.

Legal Consulting Center LLC
add: K. Gamsakhurdia st. #13. Batumi, Georgia
Beliashvili st. #8. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@ legalconsulting.ge